ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1038100

ნომერი: AR1180374

თარიღი : 27.11.2013

გაცემის თარიღი : 11.12.2013

გაცნობის თარიღი : 10.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მაისურაძე პ/ნ 01030001272
- თბილისი, ათონელის ქ. N3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2013 წლის 27 ნოემბრის #1014987 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. #34-ში, შპს ,,GBC"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.12.041.018) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. ამ ბრძანების მე-5 პუნქტით დამკვეთს განემარტა, რომ ვალდებულია

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
5.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
5.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
5.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 61-ე მუხლის და „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წლის №62 დადგენილებით) მოთხოვნათა შესაბამისად;
5.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.
5.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
5.6. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
5.7. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა;

ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1165783 განაცხადის ნომერი.

თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში.

თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული. აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში უნდა მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.